03/09/2025

MES 8 25 0001065040

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 18.08.2025
სხდომის დაწყების დრო: 11:00
სხდომის დასრულების დრო: 18:45
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე (I, II, III, IV)
სხდომის თავმჯდომარე: ციური დურული (V)
სხდომის მდივანი: ელიზბარ ელიზბარაშვილი (I, II, III, IV)
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი (V)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** -სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი** -შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** -ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ნარგულ ასანიძე** -სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
5. **თეა მჭედლური** -შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;

6. **ციური დურული** -სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
7. **ქეთევან ნანობაშვილი** -შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
8. **დავით კაპანაძე** -სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
9. **თამარ ზარანდია** -სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
10. **მზია წიკლაური** -შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
11. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** -ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
12. **ბონდო გასვიანი** -შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. **ირინა ლობჟანიძე** -სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
14. **ვლადიმერ ადეიშვილი**- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15. **ქრისტინე ახალაძე** - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი;
16. **ნათია იორდანიშვილი** - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე;
17. **მაქსიმ იავიჩი** - შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

- **ანა ქერაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია

- **ირინე შოთაძე** - რექტორი
- **შალვა ახრახაძე** - მრჩეველი ფინანსურ საკითხებში
- **ნინო სიხარულიძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- **ბიძინა ჩაჩხიანი** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
- **გიორგი კამკამიძე** -სადოქტორო პროგრამის "საზოგადოებრივი ჯანდაცვა" ხელმძღვანელი
- **ეკატერინე კლდიაშვილი** - სადოქტორო პროგრამის "მედიცინის მეცნიერებები" ხელმძღვანელი
- **გელა ბესელია** -სამეცნიერო-კვლევითი და დოქტორანტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

- **მაია ზარნაძე** - ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისისსახელმწიფო უნივერსიტეტი

- **ქეთევან ჭკუასელი** - პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
- **ზაქარია ქიტიაშვილი** - ასოცირებული პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი
- **რუსუდან სანაძე** - ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებელი
- **ირმა გრძელიძე** - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი
- **მარინე გოგნელაშვილი** - პროფესორის ასისტენტი
- **შოთა ფოთოლაშვილი** - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- **ნინო ქიმერიძე** - ასოცირებული პროფესორი, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი

(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი

- **თინათინ გაბრიჩიძე** - განათლების სკოლის დეკანი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისისსახელმწიფო უნივერსიტეტი

- **ნოდარ ბელქანია** - პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
- **სალომე დუნდუა** - ასოცირებული პროფესორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
- **თამარ დოლბაია** - პროფესორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- **მარეხ დევიძე** - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
- **თამარ ჯახუა** - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
- **შოთა ფოთოლაშვილი** - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- **ნინო ქიმერიძე** - ასოცირებული პროფესორი, თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილების უფროსი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

- **ქეთევან ჭკუასელი** - პროფესორი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
- **იმერი ბასილაძე** - პროფესორი, აწსუ სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, პროგრამის მმართველი საბჭოს წევრი
- **ვლადიმერ ადეიშვილი** - პროფესორი, აწსუ პედაგოგიურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- **ლელა თურმანიძე** - პროფესორი, ბსუ ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის მმართველი საბჭოს წევრი
- **ლელა თავდგირიძე** - პროფესორი, პროგრამის მმართველი საბჭოს წევრი
- **ნინო მოდებაძე** - პროფესორი, თესაუ განათლების ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის მმართველი საბჭოს წევრი
- **ნინო ნახუცრიშვილი** - პროფესორი, თესაუ პროგრამის მმართველი საბჭოს წევრი

- **თეა კორძაძე** - პროფესორი, აწსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- **ვლადიმერ ღლონტი** - პროფესორი, ბსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
- **სალომე თათულიშვილი** - ასოცირებული პროფესორი, თესაუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

აკრედიტაციის ექსპერტები

- **ვერიკა ჯოვანოვიჩი (Verica Jovanovic) (I)**
- **თამთა ცხოვრებაძე(I)**
- **ნათია ლანდია (I)**
- **სოსო გაზდელიანი(I)**
- **დიანა მჭედლიშვილი (II)**
- **თამთა ლეკიშვილი (II, III, IV)**
- **ანი მიხელიძე (II, V)**
- **ეკატერინე ფიფია(III, V)**
- **იოსებ ლაზარაშვილი (III)**
- **გაგა გვენეტაძე (III)**
- **ლინა ჟენკიენე (Lina Zenkienė) (IV)**
- **სალომე საბიაშვილი (IV)**
- **მარი ბანძელაძე (IV)**
- **ლიანა ზაგაშვილი (IV)**
- **მაია ჩქოტუა (V)**
- **ნინო პატარაია (V)**

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე საკითხებს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ**ლევან შავაძემ,**ხოლო მეხუთე საკითხის განხილვას უხელმძღვანელა საბჭოს წერმა, **ციური დურულმა.**
სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე საკითხზე დაევალა **ელიზბარ ელიზბარაშვილს,** ხოლო მეხუთე საკითხზე **ვაჟა კელიხაშვილს.**

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 11:00საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის "მედიცინისმეცნიერებების" და "საზოგადოებრივი ჯანდაცვის" ინგლისურენოვანი სადოქტოროსაგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის,პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარების"

ინგლისურენოვანისამაგისტრო, "პროფესიული განათლების" ინგლისურენოვანი სადოქტორო და "განათლებისმეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციისსაკითხის განხილვა;
3. (ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერების" ინგლისურენოვან სადოქტოროსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის„ორგანიზაციის ტრანსფორმირებისა და კონსულტირების“სამაგისტრო საგანმანათლებლოპროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველისსახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავისსახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების“ ერთობლივ სადოქტოროსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობადღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქეთევან ინანაშვილმა, შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით, კერძოდ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერების" ინგლისურენოვან სადოქტოროსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი მე-2 საკითხად განეხილა, ხოლო სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის,პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარების" ინგლისურენოვანისამაგისტრო, "პროფესიული განათლების" ინგლისურენოვანი სადოქტორო და "განათლებისმეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციისსაკითხიმე-3 საკითხად განეხილა, საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1.შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის "მედიცინისმეცნიერებების" და "საზოგადოებრივი ჯანდაცვის" ინგლისურენოვანი სადოქტოროსაგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. (ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერების" ინგლისურენოვან სადოქტოროსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის,პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარების" ინგლისურენოვანისამაგისტრო, "პროფესიული განათლების" ინგლისურენოვანი სადოქტორო და "განათლებისმეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციისსაკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის„ორგანიზაციის ტრანსფორმირებისა და კონსულტირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლოპროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველისსახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავისსახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების“ ერთობლივ სადოქტოროსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პირველისაკითხი: შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის "მედიცინის მეცნიერებების" და "საზოგადოებრივი ჯანდაცვის" ინგლისურენოვანი სადოქტოროსაგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამა 1
საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:მედიცინის მეცნიერებები
საფეხური:დოქტორანტურა
სწავლებისენა:ინგლისური
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: მედიცინის დოქტორი
დეტალურისფეროსკოდი:0912 - მედიცინა
სტატუსი:ახალი
კრედიტები:30

პროგრამა 2
საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:საზოგადოებრივი ჯანდაცვა
საფეხური:დოქტორანტურა
სწავლებისენა:ინგლისური
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი
დეტალურისფეროსკოდი:0919 - საზოგადოებრივი ჯანდაცვა
სტატუსი:ახალი
კრედიტები:30

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვერიკა ჯოვანოვიჩმა, მისასალმებელი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა:
„მოგესალმებით. ჩემთვის დიდი პატივია, რომ მქონდა შესაძლებლობა ვუხელმძღვანელე აღნიშნულ ვიზიტსა და ექსპერტთა ჯგუფს, რათა შეგვეფასებინა წარმოდგენილი პროგრამები. შეფასების დასკვნაში ინფორმაცია სრულად და ყოვლისმომცველად არის წარმოდგენილი. ახლა კი წარმოგიდგენთ ძირითად მიგნებებს.

უმაღლესი შეფასება მიიღეს შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ინგლისურენოვანმა სადოქტორო პროგრამებმა — „მედიცინის მეცნიერებები“ და „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“. ორივე პროგრამა პირველივე სემესტრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კვლევით კომპონენტს, ხოლო სასწავლო ნაწილი წარმოდგენილია 30 ECTS კრედიტის მოცულობით.
პროგრამების მიზნები სრულად შეესაბამება შესაბამისი დონისა და სფეროს სპეციფიკას. ისინი მკაფიოდ განსაზღვრავენ იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს სწავლის პროცესში. ვიზიტის, პროგრამების შესწავლისა და ანალიზის შედეგად, მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები უმეტესწილად შეესაბამება პირველი სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
ვერიკა ჯოვანოვიჩმა თავის წერილში მოკლედ მიმოიხილა გაცემული რეკომენდაციები და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამები შედარებით ახალია, ისინი წარმატებით ხორციელდება, ძირითადად აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს და მუდმივად მიისწრაფვის გაუმჯობესებისკენ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების განხორციელება კიდევ უფრო გააძლიერებს პროგრამების შესაძლებლობას, მოამზადოს მაღალი ხარისხის დოქტორები და დააკმაყოფილოს საქართველოს საგანმანათლებლო და კვლევითი საჭიროებები.“

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

უნივერსიტეტის რექტორმა, ირინა შოთაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსთვის და აღნიშნა, რომ პირველ დასკვნაში ხუთივე სტანდარტი იყო სრულ შესაბამისობაში. იყო განსაზღვრული მხოლოდ რჩევები და არცერთი რეკომენდაცია, თუმცა საბჭომდე უნივერსიტეტმა მიიღო კორექტირებული დასკვნა, სადაც პირველი სტანდარტი ნაცვლად სრულად შესაბამისისა, შეფასებული იყო როგორც მეტწილად შესაბამისი. დაწესებულება ყოველთვის ღიაა კონსტრუქციული უკუკავშირისთვის, თუმცა ნამდვილად დამაბნეველი იყო პირველადი დასკვნის ცვლილება ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

კვლევის მიმართულებით უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, ეკატერინე კლდიაშვილის თქმით, ექსპერტები პირველ რეკომენდაციაში აღნიშნავენ, რომ რეკომენდაციები ზოგადია და მეტწილად იდენტურია, თუმცა მისი აზრით ხაზგასასმელია, რომ კლასტერში წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამების მიზანია დამოუკიდებელი მკვლევრის მომზადება და მენტორობით განხორციელებული, კვლევისა და აქტიური სწავლების კომბინაციით ამ მიზნის მიღწევა ინსტიტუციურ მიდგომას წარმოადგენს. ორივე სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა მეტწილად განსხვავებულია, რადგან ისინი განსხვავებულია სავალდებულო და არჩევითი კურსებით. პროგრამების კონცეფციას წარმოადგენს კვლევის პირველივე სემესტრიდან დაწყება, თუმცა, რა თქმა უნდა, დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამებში კვლევითი ნაწილი მსგავსია, მაგრამ განსხვავდება სასწავლო სავალდებულო კურსებით. მედიცინის მეცნიერების პროგრამაზე დაშვების საკვალიფიკაციო მოთხოვნაა მაგისტრის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია, ხოლო საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამაზე ეს არის მაგისტრი, თუმცა კომპეტენციის შესაბამისად შეიძლება იყოს ბიოლოგიის, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების კვალიფიკაცია და სხვა.
ორივე სადოქტორო პროგრამა მოიცავს ინტენსიურ კვლევით კომპონენტს. მედიცინის მეცნიერების შემთხვევაში კვლევა მოიცავს ექსპერიმენტულ და ლაბორატორიულ კვლევებს, ხოლო საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამაზე - ეპიდემიოლოგიურ, პოპულაციურ და სხვა კვლევებს. მათი შედეგებიც განსხვავებულია. თეზისი დაცული იქნება იმ შედეგების ანალიზისა და სინთეზის წარმოდგენისას, რომლებიც დარგის შესაბამისია. მედიცინის მეცნიერებების

შემთხვევაში, ეს შეიძლება იყოს მიგნებები ახალი თერაპიული დიაგნოსტიკური მიდგომების შესახებ, ხოლო საზოგადოებრივ ჯანდაცვაში - პოლიტიკის ფორმულირება, პრევენციული მოდელები და ა.შ.

ის დაეთანხმა ექსპერტების მოსაზრებას, რომ სწავლის შედეგები სწორად და სტრუქტურულად არის გაწერილი და შეესაბამება სწავლების დონეს, დარგის სპეციფიკასა და შრომითი ბაზრის მოთხოვნებს.

გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ თუ გადაწყდება სწავლის შედეგებში დარგობრივი კომპეტენციის, კონკრეტულად კი - მოსახლეობის ჯანდაცვის პოლიტიკის უკეთესად ასახვა, ამ შემთხვევაში ორივე პროგრამის სწავლის შედეგი კიდევ უფრო მსგავსი იქნება, რაც წინააღმდეგობაში მოდის სხვა რეკომენდაციასთან, რომლის მიხედვითაც სწავლის შედეგები ზოგადი და მეტწილად ერთგვაროვანია. სადოქტორო პროგრამაში მნიშვნელოვანია მკვლევრის მომზადება ინტერდისციპლინური კვლევისთვის. შესაბამისად, სწავლის შედეგების დაკონკრეტებამ შეიძლება გამოიწვიოს შეზღუდვები და ეს განსაკუთრებით საყურადღებოა სწრაფად განვითარებად მიმართულებებში, როგორიც არის მედიცინა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა.

პროგრამების შექმნისას გათვალისწინებული იყო ეროვნული მარეგულირებელი დოკუმენტები და, მათ შორის, ხარისხის ეროვნული ცენტრის მოწოდებული მეთოდური რეკომენდაციები, როგორიც არის: დოქტორ დეკლარ კენედის მეთოდური რეკომენდაცია სწავლის შედეგების ფორმულირების შესახებ, ასევე კლასტერული აკრედიტაციის მიდგომები, სადაც დაჯგუფების წესში მითითებულია, რომ პროგრამები კლასტერში გაერთიანებულია სწავლის შედეგების მიხედვით. მან აღნიშნა, რომ პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია სტანდარტებთან. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაციები უნდა მოიხსნას.

ასისტირების მიზანია დამოუკიდებელი პრაქტიკული აქტივობის განხორციელების ხელშეწყობას დოქტორანტის მიერ. მისი სტრუქტურა მოდურალურია, რაც გულისხმობს, მისი განხორციელების შესაძლებლობას არანაკლებ 3 სემესტრისა. განმსაზღვრელი შეფასება შემუშავებულია კრიტერიუმების შესაბამისად, დუალური - დიახ/არა პრინციპით. ეს კონცეფცია შემუშავებულია ევროპელ პარტნიორებთან ერთად. 100 ქულიან სისტემასთან მისი ინტეგრაცია ამ ეტაპზე არაა განხორციელებული, თუმცა რეკომენდაციის მიღების შემდეგ, თითქმის დასრულებულია ეს პროცესი.

დისერტაციის საჯაროობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს ამონარიდი არის სადისერტაციო დებულების მეჩვიდმეტე მუხლიდან, რაც შემზღუდველ ფუნქციას არ ასრულებს, თუმცა სემესტრის დასრულებისთანავე განხორციელდება მასში ცვლილება და ჩანაწერი უფრო გამჭვირვალე გახდება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო სიხარულიძემ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე აღნიშნა, რომ ექსპერტებს დადებითად აქვთ შეფასებული უნივერსიტეტში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. დარგობრივ მახასიათებლებზე დაყრდნობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები, თავისი ინსტრუმენტებით. მათი პრაქტიკაში გამოყენება დაიწყება პროგრამების ამოქმედების შემდეგ. ასევე, აღნიშნა, რომ მუდმივად ხდება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გადახედვა. შესაბამისად, ობიექტური მტკიცებულებების გარეშე შეუძლებელია ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტურობის შეფასება და ამგვარად, რეკომენდაციის საფუძველი ბუნდოვანია. მით უფრო, როცა ექსპერტების მიერ საკითხი დადებითად არის შეფასებული. მისი მოსაზრებით, ეს რეკომენდაცია უნდა გადავიდეს რჩევების ნაწილში.

ეკატერინა კლდიაშვილმა დაამატა, რომ ექსპერტების მიერ ხაზგასმული ჩარიცხვის კრიტერიუმებისა და აპლიკანტების შეფასების დეტალები უკვე გაწერილია და საჯაროდ ხელმისაწვდომია. ამასთან, საბჭოს თავმჯდომარე, ლევან შავაძემ ხაზი გაუსვა, რომ ვიზიტის განხორციელების შემდეგ ახალი გარემოებები მხედველობაში არ მიიღება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ქეთევან აფთარაშვილმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს. მისი თქმით, უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებაში გაწერილია დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის პირობები, თუმცა ჩარჩო დოკუმენტი ითვალისწინებს მინიმალურ სტანდარტს, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელს ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა უდასტურდებოდეს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნება, რომელიც თემატურად თანხვედრაშია დოქტორანტის კვლევასთან. პროგრამაში ეს დეტალი ასახული არ არის და ასევე, პერსონალის შემადგენლობაში მინიმუმ 5 მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე ადამიანია. მას აინტერესებდა დაწესებულების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით იკითხა, არის თუ არა ექსპერტთა რჩევაში ნაგულისხმევი მხოლოდ ტექნიკური ხარვეზი და ასევე, გათვალისწინებულია თუ არა დაშვების წინაპირობებში დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, რომ დოქტორანტს უნდა ჰქონდეს მინიმუმ 2-წლიანი სფეროში მუშაობის გამოცდილება, გამოქვეყნებული სტატიები და ა.შ.

ქეთევან აფთარაშვილის თქმით, დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით მოთხოვნილია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე და იყოს უნივერსიტეტის აფილირებული ან სამეცნიერო პერსონალი. მან ჰკითხა ექსპერტთა ჯგუფს, გათვალისწინებულია თუ არა პროგრამებში ეს პირობა.

ეკატერინე კლდიაშვილმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი ყოველწლიურად აკვირდება აფილირებული და აკადემიური პერსონალის კვლევით აქტივობებს. ხდება პუბლიკაციებისა და კვლევითი პროექტების რაოდენის ანალიზი. უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს თავისი კვლევითი პრიორიტეტები ორივე პროგრამისთვის. ეს დაფიქსირებული იყო თვითშეფასების ანგარიშში და შესაძლებელია დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენაც.
ორივე სადოქტორო პროგრამაზე საკვალიფიკაციო მოთხოვნაა მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაცია, რადგან მედიცინის ერთსაფეხურიანი პროგრამის (ინგლისურად M.D) კურსდამთავრებულს მოიხსენიებენ დოქტორად, თუმცა მას არ აქვს დოქტორის კვალიფიკაცია და შეიძლება იყოს დოქტორანტი მედიცინის მეცნიერებებში. რაც შეეხება საზოგადოებრივ ჯანდაცვას, პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს ბიოლოგიის, სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერების, შრომის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტი. მისი თქმით, ჩარჩო დოკუმენტი ამჟამად არ ავალდებულებს ორ წლიან გამოცდილებას, რადგან ზოგიერთ მაგისტრს უკვე აქვს პუბლიკაციები, თუმცა რჩევა გათვალისწინებული იქნება.
ორივე პროგრამის ხელმძღვანელი არის უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი, რომელთაც აქვთ დოქტორის ხარისხი, აქვთ მნიშვნელოვანი პროფილი, სადოქტორო პროგრამებისა და სხვა პროექტების განხორციელების გამოცდილება.

ქეთევან აფთარაშვილმა დააზუსტა, რომ „QMS“ ბაზის მონაცემებში „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ პროგრამის ხელმძღვანელი არის მაგისტრის ხარისხის მქონე და, ასევე, არ უფიქსირდება აფილირება. ეს მნიშვნელოვანია დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის პირობების დაკმაყოფილების კუთხით. დაამატა, რომ ნაშრომის ხელმძღვანელებიდან მინიმუმ 5 პერსონალი არის მაგისტრის ხარისხის მფლობელი და კითხვით მიმართა დაწესებულებას, მას აინტერესებდა თუ როგორი მიდგომა არსებობს ამ კუთხით უნივერსიტეტში.

ეკატერინა კლდიაშვილის განმარტებით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის აკადემიური, აფილირებული პერსონალის დიდი ნაწილი მაგისტრის ხარისხს ფლობს უცხოურ უნივერსიტეტებში: ამერიკის, გერმანიის და აგრეთვე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მაასტრიხტის უნივერსიტეტის ერთობლივ პროგრამაში, სადაც მინიჭებული აქვთ მაგისტრის ხარისხი, თუმცა დაცული აქვთ დისერტაცია. მაგალითად, პროგრამის ხელმძღვანელი გიორგი კამკამიძე არის მაგისტრი, თუმცა მას საქართველოში დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია. მაგისტრის ხარისხის მქონე არავინ არ ფიგურირებს პროგრამაში, არც აკადემიური პერსონალი და მით უმეტეს, არც სამეცნიერო ხელმძღვანელი. გიორგი კამკამიძე კი ხელშეკრულებით არის აფილირებული პერსონალი.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა იკითხა, თუ ორივე პროგრამის მიზნები, შედეგები და სასწავლო გეგმა იდენტურია, რამ გამოიწვია მათი ორ პროგრამად ჩამოყალიბება, როცა ისინი ანიჭებენ სხვადასხვა კვალიფიკაციას.

ეკატერინა კლდიაშვილმა განმარტა, რომ სადოქტორო პროგრამა დარგის მიუხედავად პირველ რიგში უნდა ზრდიდეს დამოუკიდებელ მკვლევარს. თავდაპირველად იყო იდეა, რომ ერთი პროგრამით სტუდენტს მიეღო როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ისე საექთნო საქმის კვალიფიკაცია, თუმცა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან გავლილი კონსულტაციის საფუძველზე, ეს იდეა უგულვებელყოფილ იქნა, რადგან ქართული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სადოქტორო საფეხურზე ორმაგი კვალიფიკაციის მინიჭებას. თითოეულ პროგრამაში არჩევით კურსებად წარმოდგენილია მეორე კურსისთვის დამახასიათებელი თემატური კურსები.

ციური დურულის თქმით, ორ პროგრამას შორის ერთადერთი განსხვავებული კურსებია - „სტატისტიკა“ და „ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა.“ დანარჩენი სასწავლო კომპონენტი კი იდენტურია. მისი აზრით, სწავლის შედეგებში კვლევის არეალი მაინც უნდა ყოფილიყო წარმოჩენილი.

საბჭოს წევრმა, მზია წიკლაურმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამაზე ბიოლოგიის, ვეტერინარიის და მედიცინის კვალიფიკაციის მქონე სტუდენტები ერთი პროგრამით სწავლობენ თუ არა.

ეკატერინა კლდიაშვილმა უპასუხა, რომ მედიცინის პროგრამაზე დაშვება ხდება მხოლოდ ექიმის კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტების, ხოლო საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამაზე - ბიოლოგის, ვეტერინარის და ა.შ. განსხვავებული კვალიფიკაციებით გამოწვეული კვლევითი ნაკლოვანებების შესავსებად პირველ და მეორე სემესტრში სტუდენტები სწავლობენ საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და გლობალური ჯანდაცვის მიდგომებს. პარალელურად ეცნობიან დარგისთვის სპეციფიკურ კვლევის მეთოდებსა და სადოქტორო ხელმძღვანელებთან აზუსტებენ სადოქტორო კვლევის გეგმას, რითაც პროსპექტუსის დაცვის შემდეგ აგრძელებენ მუშაობას.

მზია წიკლაურმა დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა, სავალდებულოა თუ არა სტუდენტებისთვის სამეცნიერო მოხსენების გაკეთება და, ასევე, ეხმარება თუ არა დაფინანსებით უნივერსიტეტი აფილირებულ და მოწვეულ პერსონალს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნების მიმართულებით.

ეკატერინა კლდიაშვილმა უპასუხა, რომ დოქტორანტისთვის დაცვის სავალდებულო წინაპირობაა ორი პუბლიკაცია. პირველი მოთხოვნაა, გამოაქვეყნოს საერთაშორისო რეფერირებად, რეცენზირებად ჟურნალებში პირადი ავტორობით. ასევე, უნივერსიტეტი თავის

ბაზაზე ყოველწლიურად ატარებს საერთაშორისო კონფერენციას, სადაც უნივერსიტეტის დაფინანსებით მონაწილეობენ მედიცინის პროგრამის როგორც აკადემიური პერსონალი, ისე სტუდენტები. უნივერსიტეტს აქვს შიდა საგრანტო პროგრამა აკადემიური, აფილირებული პერსონალისთვის. პირადი ავტორობით, აფილირებით გამოქვეყნებული ნაშრომების ხარჯებს აფინანსებს უნივერსიტეტი. დანერგილია წახალისების საბონუსე სისტემები IMPACT FACTOR-ის გათვალისწინებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 12:10
დასრულებისდრო: 12:40

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის "მედიცინისმეცნიერებების" ინგლისურენოვანი სადოქტოროსაგანმანათლებლო პროგრამის კლასტერის ვადით 2027 წლის 31 დეკემბრამდე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ემუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ემუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის "მედიცინის მეცნიერებების"ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერს მიენიჭოს აკრედტაცია კლასტერის ვადით, 2027 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის "საზოგადოებრივი ჯანდაცვის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კლასტერის ვადით 2027 წლის 31 დეკემბრამდე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ემუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ემუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის "საზოგადოებრივი ჯანდაცვის" ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2027 წლის 31 დეკემბრამდე 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეორე საკითხი: ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერების" ინგლისურენოვანი სადოქტოროსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:განათლების მეცნიერება
საფეხური:დოქტორანტურა
სწავლებისენა:ინგლისური
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: განათლების მეცნიერების დოქტორი
დეტალურისფეროსკოდი:0111-განათლების მეცნიერება
სტატუსი:აკრედიტებული
კრედიტები:60

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ის აცილება
√არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას. მისი წერილი დამსწრეებს გააცნო ცენტრის თარჯიმანმა ანა ადამიამ:
“საბჭოს წევრებო, ექსპერტთა გუნდმა 2025 წლის 27 მაისს განახორციელა ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტი. პროგრამა ამოქმედდა 2024 წელს. ხორციელდება ინგლისურ ენაზე და აქვს კოჰორტული, ინტერდისციპლინური მოდელი. საკვლევი თემები შესაბამისობაშია ეროვნულ

პრიორიტეტებთან, მაგალითად, სამედიცინო და ფიზიკური განათლება. სტუდენტების მიღება ხდება მრავალკომპონენტიანი პროცესის შედეგად, სხვადასხვა შესაძლო აკადემიური სფეროებიდან. ვიზიტის განმავლობაში, გუნდი შეხვდა უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობას, პროგრამის თანამშრომლებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის გუნდს. ასევე, დაათვალიერა უნივერსიტეტი. ვიზიტი იყო კარგად ორგანიზებული და წარიმართა კოლეგიალურად, თუმცა გამოვლინდა პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტი, რადგან ზოგიერთი სტუდენტი პროფესორ-მასწავლებელთა კატეგორიაშიც შედის.
პროგრამა შესაბამისობაშია აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან. აღსანიშნავი ძლიერი მხარეებია: შესაბამისობა ეროვნულ და ინსტიტუციურ პრიორიტეტებთან; ინტერდისციპლინური მიდგომა და კოჰორტული სწავლების მოდელი; შესავალი კურსის არსებობა განათლების სფეროში ხარისხის არ მქონე სტუდენტებისთვის; ხარისხის გაუმჯობესებაში სტუდენტებისა და პერსონალის აქტიური ჩართულობა.
რაც შეეხება პროგრამის გასაუმჯობესებლად ძირითად რეკომენდაციებს, დაშვების წინაპირობებში უფრო ზუსტად უნდა გაიწეროს კომპეტენციები, უნდა მოხდეს ინგლისური ენის კომპეტენციის სტანდარტიზაცია და სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება. უნდა მოხდეს პროგრამაზე დაშვებისა და დისერტაციის დაცვის შეფასების რუბრიკის გამოქვეყნება და ხელმძღვანელების პროფილების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ასევე, მათი შესაძლებლობების დაგეგმვის გაუმჯობესება."

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

განათლების სკოლის დეკანმა, თინათინ გაბრიჩიძემ აღნიშნა, რომ დასკვნის ნარატივში, სავარაუდოდ, რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი იყო გაპარული. მაგალითად, ეწერა რომ დაწესებულებამ ნაწილობრივ შეასრულა წინა აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციები, თუმცა სინამდვილეში უნივერსიტეტმა რამდენიმე კვირის წინ გამართულ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაადასტურა რეკომენდაციების შესრულება. ასევე, დასკვნაში აღნიშნულია დოქტორანტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა 5:1-თან, თუმცა სადოქტორო საფეხურის ახალი სტანდარტის შესაბამისად პროგრამაში განხორციელდა ცვლილება და თანაფარდობა განსაზღვრულია 3:1-თან.
2.1 კომპონენტში გაცემულ ერთ-ერთ რეკომენდაციაში საუბარია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების კრიტერიუმებზე, მათ შორის, წინარე განათლებასა და სამუშაო გამოცდილებაზე. დაშვების წინაპირობებზე პროგრამას წინა აკრედიტაციის დროსაც განესაზღვრა რეკომენდაცია, რის შემდეგაც წინაპირობებში სამუშაო გამოცდილებასთან ერთად გაიწერა კვლევითი გამოცდილება ან/და მონაწილეობა პროექტებში. ამასთან დაკონკრეტებულია განათლების მიმართულება. პროგრამაზე არსებობს დოქტორანტების სელექცია, რაც მოიცავს კვლევითი გეგმის წარდგენას, დარგობრივ კომისიასთან გასაუბრება და ეს ყველაფერი უზრუნველყოფს შესაბამისი კომპეტენციების მქონე დოქტორანტების დაშვებას პროგრამაზე. არსებული ჩანაწერი, სრულად შეესაბამება მარეგულირებელ დოკუმენტს და, შესაბამისად, დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას არ ეთანხმება, დაშვების წინაპირობები არ საჭიროებს მოდიფიცირებას.
ასევე, დაწესებულება არ ეთანხმება 2.4 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციას, რომელშიც საუბარია ფართო სწავლის შედეგებსა და შეფასების კონკრეტულ ინსტრუმენტებს შორის შესაბამისობის პრაქტიკულ განხორციელებაზე. დაწესებულების პოზიციით, დასკვნის ნარატივში არ ჩანს და ბუნდოვანია, თუ რომელ სწავლის შედეგებსა და ინსტრუმენტებს გულისხმობენ ექსპერტები. ასევე, სად არის შეუსაბამობა სტანდარტის მოთხოვნებთან. დაწესებულებისა და პროგრამის პერსონალის აზრით, საუბარია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებზე და არა დოქტორანტის შეფასების მეთოდებზე.

3.2 კომპონენტში გაცემულ რეკომენდაციაზე, რომელშიც რეკომენდებულია ხელმძღვანელობის ხარისხისა და თანმიმდევრულობის მონიტორინგისთვის, დაინერგოს სტრუქტურირებული ინსტრუმენტები, როგორიცაა ხელმძღვანელობის ჟურნალები, წლიური პროგრესის ანგარიშები ან ინდივიდუალური განვითარების გეგმები (IDP), თინათინ გაბრიჩიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული და დანერგილი აქვს შესაბამისი ინსტრუმენტები, რომელიც შეიძლება არ მოიცავს ხელმძღვანელობის ჟურნალს, თუმცა არსებობს დოქტორანტის წარსადგენი სემესტრული ანგარიში, რომელიც ფარავს როგორც მის მიერ შესრულებულ სამუშაოს, ისე ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის შესრულებულ სამუშაოს. არსებობს კიდევ დოქტორანტთა ხელმძღვანელებით კმაყოფილების კითხვარები, სადაც ისინი აფასებენ კომუნიკაციისა და მხარდაჭერის საკითხს. შესაბამისად, უნივერსიტეტში არსებობს ხელმძღვანელობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ხოლო გზები წარმოადგენს დაწესებულების აკადემიურ თავისუფლებას.
3.1 კომპონენტში რეკომენდებულია, შემუშავებულ იქნეს ოფიციალური საორიენტაციო პროგრამა (მაგ., გაცნობის დღე ან საორიენტაციო კვირა), რათა სტუდენტებს გააცნოთ ინსტიტუციური პროცედურები, აკადემიური მოლოდინები და ხელმისაწვდომი დამხმარე სერვისები. ამასთან, თინათინ გაბრიჩიძემ განმარტა, რომ ინსტიტუციური სერვისების გაცნობის მიზნით შეხვედრები ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელისა და დეკანის მიერ. დასკვნაში აღნიშნულია, რომ არ არსებობს კომუნიკაციის პრობლემები. ასევე, დოქტორანტებს რეგულაციები მიეწოდებათ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და ვინაიდან, საუბარი არ არის ინფორმირებულობის ნაკლებობაზე, რეკომენდაცია არ არის გამყარებული არგუმენტებით.
დანარჩენი რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი დაწესებულებამ გაიზიარა. აქედან ნაწილი უკვე შესრულდა, ხოლო მეორე ნაწილის შესრულება არის დაწყებული.
ინგლისური ენის არსებული პოლიტიკის აღსრულებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, მან დაამატა, რომ დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციის შინაარსს, თუმცა ეს შინაარსი უკავშირდებოდა მხოლოდ ერთ აკადემიურ პერსონალს, რომელიც ფლობს B2 დონის ინგლისური ენის კომპეტენციას და მისი აქტივობა არ მოიცავდა სასწავლო და ხელმძღვანელობით სამუშაოს. მისი სასწავლო პროცესში ჩართვა მოხდება მხოლოდ C1 დონემდე გადამზადების, კომპეტენციის დადასტურებისა და საჩვენებელი ლექციის ჩატარების შემდეგ.
აგრეთვე, უკვე მოწყობილია სამუშაო სივრცე დოქტორანტებისთვის. საბიბლიოთეკო რესურსი მოძიებულია. მიმდინარეობს სამეცნიერო ბაზებზე წვდომის უფლების გაუმჯობესება. პროგრამის დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებული დანარჩენი რეკომენდაციები დაწესებულებამ უკვე შეასრულა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 13:00
დასრულების დრო: 13:08

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 18 აგვისტომდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2-ემუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ემუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერების" ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 18 აგვისტომდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის,,პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო, "პროფესიული განათლების" ინგლისურენოვანი სადოქტორო და "განათლების მეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციისსაკითხის განხილვა;

პროგრამა 1
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება
საფეხური:მაგისტრატურა
სწავლებისენა:ინგლისური
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: განათლების მეცნიერების მაგისტრი
დეტალურისფეროსკოდი:0111-განათლების მეცნიერება
სტატუსი:აკრედიტებული
კრედიტები:120

პროგრამა 2
საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება: პროფესიული განათლება
საფეხური: - დოქტორანტურა
სწავლების ენა:ინგლისური
მისანიჭებელიკვალიფიკაცია:განათლების მეცნიერების დოქტორი
დეტალურისფეროსკოდი:0111-განათლების მეცნიერება
სტატუსი:აკრედიტებული
კრედიტებისრაოდენობა:35

პროგრამა 3
საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:განათლების მეცნიერებები
საფეხური: მაგისტრატურა
სწავლების ენა:ქართული
მისანიჭებელიკვალიფიკაცია:განათლების მეცნიერების მაგისტრი
დეტალურისფეროსკოდი:0111-განათლების მეცნიერება
სტატუსი:აკრედიტებული
კრედიტებისრაოდენობა:120

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√კი

თვითაცილება განაცხადეს ქეთევან აფთარაშვილმა, ბონდო გასვიანმა, თეა მჭედლურმა, თამარ ზარანდიამ და ვლადიმერ ადეიშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითიურთიერთობადაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემსაბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენუმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, პეტროს პაშიარდისი არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას. მისი სიტყვა დამსწრეებს გააცნო თარჯიმანმა ანა ადამიამ:
„საბჭოს პატივცემულო წევრებო, წარმოგიდგენთ პროფესიული განათლებისა და განათლების მეცნიერებათა პროგრამების კლასტერის შეფასების რეზიუმეს საბჭოს შეხვედრისათვის. ექსპერტთა გუნდმა, პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, დამატებით მოთხოვნილი და მოწოდებული დოკუმენტების, და, რასაკვირველია, დაწესებულებაში ვიზიტისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრების და გასაუბრებების საფუძველზე, შეიმუშავა შეფასების საბოლოო ანგარიში.
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში, 2025 წლის 4 და 5 ივლისს შევხვდით და გავესაუბრეთ 79 პირს, პირისპირ და ონლაინ ფორმატში. ამ შეხვედრებში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები (ვიცე-რექტორები, დეკანი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი). ამის გარდა, შეხვედრა გავმართეთ თვითშეფასების გუნდთან, ასევე დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, და კურსდამთავრებულებთან. ასევე, დავათვალიერეთ კამპუსი, ინფრასტრუქტურა და სხვადასხვა სივრცეები, როგორიცაა ბიბლიოთეკა, აუდიტორები, კომპიუტერული ოთახები და ა.შ. მეორე დღის ბოლოს კი, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შეხვედრაზე, მათ მოკლედ წარვუდგინეთ ჩვენი ძირითადი მიგნებები.
ერთიანად, კლასტერის პროგრამები ხორციელდება ხედვის მიხედვით და მისიასთან შესაბამისობაშია. პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალი საკმაოდ მოტივირებულია, სტუდენტები და დამსაქმებლები კმაყოფილნი არიან საბოლოო შედეგით. ეს არის წარმატებული პროგრამების კლასტერი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროფესიული განათლების პროგრამები, რომელიც საკმაოდ ინოვაციურია საქართველოს უმაღლესი

განათლების სივრცეში. პროგრამების ფარგლებში ჩამოყალიბებულია საერთაშორისო თანამშრომლობა გერმანიისა და სხვა უნივერსიტეტებთან, თუმცა საჭიროა დამატებითი ძალისხმევა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით და თსუ-ს უფრო ვრცელ საერთაშორისო ასპარეზზე გასასვლელად. აკრედიტაციის კომისიის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციებისა და რჩევების მიზანია პროგრამების ხარისხის შემდგომი გაძლიერება. ამდენად, ისინი უნდა განვიხილოთ პროგრამებისა და უნივერსიტეტის სოლიდური რეპუტაციის და განსაკუთრებით, ინტერნაციონალიზაციის პროცესის შემდგომი გაძლიერებისა და ხელშეწყობის ჭრილში. მთლიანობაში, ჯგუფი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მოცემული პროგრამების კლასტერი გამართული და ძლიერია.
და ბოლოს, მსურს ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ექსპერტთა გუნდის წევრ კოლეგებს, რომლებმაც დაუღალავად იშრომეს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ ანგარიშის საბოლოო სახით ჩამოყალიბებაში. გაწეული დახმარებისა და აქტიური ხელშეწყობისათვის მსურს, ასევე, გულითადი მადლობა გადავუხადო განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ორ წევრს, ქალბატონ ანა ჯუღელს და ქალბატონ ანა ქერაშვილს. მათ მეტად ღირებული დახმარება გაგვიწიეს მთელი პროცესის განმავლობაში.“

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარების" ინგლისურენოვანისამაგისტრო და "პროფესიული განათლების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები შეიქმნა მაგდებურგის უნივერსიტეტის ჩართულობით. პროგრამების შექმნას აქტიურად უჭერდა მხარს გერმანიის მთავრობა და “GiZ”. პროცესის უშუალო მონაწილეები იყვნენ მაგდებურგის და მაინცის უნივერსიტეტის წარმომადგენლები, რომლებიც ცნობილები არიან პროფესიული განათლების კვლევებით. პროგრამების კურიკულუმი შეიქმნა „იუნესკოს“ და „უნივოკის“ საერთაშორისო სტანდარტებით. სადოქტორო საფეხურის 3 და სამაგისტრო საფეხურის 1 კოჰორტა უკვე უზრუნველყოფილი იქნა იმავე რესურსებით, რომლითაც სარგებლობენ გერმანელი სტუდენტები და, ასევე, ზამთრისა და ზაფხულის სკოლებს გადიან გერმანიაში. გერმანელი ექსპერტის ჩართულობით სკოლები ტარდება საქართველოშიც. დოქტორანტები აქვეყნებენ კვლევებსა და პუბლიკაციებს. პროგრამები დატვირთულია ექსტრაკურიკულარული აქტივობებით. მაგალითად, დოქტორანტებისთვის გაზაფხულში ჩატარდა 11 ტრენინგი მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტების მიერ ფინეთიდან, უნგრეთიდან. შვედეთიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ბელგიიდან და ა.შ. ყოველივე ხსენებული პროგრამებს აახლოვებს საერთაშორისო სტანდარტებთან და რეკომენდაციები/რჩევები ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებასთან დაკავშირებით არის საფუძველს მოკლებული. მისი თქმით, სამივე პროგრამის 2 წლის წინ მიმდინარე აკრედიტაციის დროს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რომელიც ამჟამად “EQAR”-ის პრეზიდენტია, აღნიშნა, რომ პროგრამები წარმოადგენს ნათელ მაგალითს ევროპის უნივერსიტეტებისთვის თუ როგორ უნდა შეიქმნას ეკოსისტემა. ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ არ ეთანხმებიან ასისტენტობის არჩევით კომპონენტში გადატანასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას და სწავლა-სწავლების მეთოდების სავალდებულო კურსების კომპონენტში გადატანასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას. პირველ შემთხვევაში ეს წინააღმდეგობაშია თსუ-ს შიდა რეგულაციასთან, ხოლო მეორე შემთხვევაში - სტუდენტების უმრავლესობა არ გეგმავს აკადემიაში მოღვაწეობასა და სწავლებას. განათლების მეცნიერების ქართულენოვანმა სამაგისტრო პროგრამამ, რომელიც 2001 წლიდან არსებობს, შექმნა დიდი კვლევითი გამოცდილება. პროგრამა რეგულარულად მიყვება დარგის განვითარებას, ბაზრის მოთხოვნებსა და საჭიროებებს. შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურა პრიორიტეტების მიხედვით მოდიფიცირდება.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ქეთევან ჭკუასელმა პროგრამის ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ განათლების მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალიდან 5-6 ადამიანი თავად წარმოადგენს განათლების საერთაშორისო სივრცის ექსპერტს სხვადასხვა კომისიაში და ამგვარად, საერთაშორისო სიახლეები შემოდის პროგრამაში.

პროგრამის შეფასებაში სტუდენტთა ჩართულობასთან დაკავშირებით ირმა გრძელიძემ განმარტა, რომ ცვლილებების უმრავლესობა განპირობებულია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა რჩევებით. შესაბამისად, რეკომენდაცია მიუღებელია. კრედიტების გადანაწილებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ძირითადი კურსები 5 კრედიტიანია, ხოლო არჩევითი კურსები 3 კრედიტიანი. 3-კრედიტიან კურსებში მოცემულია შესაბამისი რაოდენობის ლიტერატურა. შესაბამისად, არ იზიარებს არჩევითი და სავალდებულო საგნების ბლოკების გადახედვის, მინიჭებული კრედიტების რაოდენობის შეფასებისა და აუცილებელი ცვლილებების განხორციელების საჭიროებას. ირმა გრძელიძის თქმით, რეკომენდაციების უმრავლესობა უნდა იყოს ფორმულირებული რჩევად.
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის განყოფილების უფროსმა, ნინო ქიმერიძემ დაამატა, რომ სტუდენტები ჩართულები არიან როგორც თავიანთი პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში, ისე სტაჟირებას გადიან ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალურ სამსახურში, აფასებენ ინდივიდუალურად და კლასტერულად წარდგენილ პროგრამებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მზია წიკლაურმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენ სტუდენტს იღებს ყოველწლიურად თითოეული პროგრამა და რამდენი სტუდენტია განსაზღვრული თითო ჯგუფში.

ირმა გრძელიძემ უპასუხა, რომ სადოქტორო პროგრამაზე მიღება ხდება შეზღუდულად, თითო კოჰორტის დროს მიღება არ ცდება 5 დოქტორანტს, რომლებსაც უკვე აქვთ დარგობრივი სპეციალიზაცია. სამაგისტრო ინგლისურენოვან პროგრამაზე წელს მიღებულია სტუდენტების პირველი კოჰორტა, სადაც მიიღეს 4 სტუდენტი. ეს გამოწვევას წარმოადგენს და გამოსასწორებლად ჩატარდა “PR” კამპანია როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში (პაკისტანი, უზბეკეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი). ქართულენოვან სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც 24 წელია არსებობს, აპლიკანტების რაოდენობა ყოველთვის მაღალია.

ქეთევან ჭკუასელმა ამ საკითხთან დაკავშირებით დაამატა, რომ პროგრამა შექმნისას წარმოადგენდა გარღვევას საბჭოთა გამოცდილებისთვის და 2010-15 წლებში მას ჰყავდა უკვე 300-400 აპლიკანტი. ეს იძლეოდა არჩევის კარგ საშუალებას. კურსდამთავრებულთა თითქმის სრული შემადგენლობა იყო დასაქმებული. წელს არის გამოცხადებული 50 ადგილი. შესაბამისად, 2 ან 3 ჯგუფი შეიქმნება.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა სამაგისტრო ინგლისურენოვან პროგრამასთან დაკავშირებით იკითხა, ექსპერტებმა შეაფასეს თუ არა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი მოკლე სილაბუსები.

ირმა გრძელიძის თქმით, უნივერსიტეტის მე-100 დადგენილების მიხედვით, ინგლისურენოვან პროგრამებზე სრული სახით არის წარმოდგენილი მხოლოდ ინგლისურენოვანი სილაბუსი, ხოლო ქართულ ენაზე სილაბუსი წარდგენილია შემოკლებული სახით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 13:40
დასრულების დრო: 14:04

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 18 აგვისტომდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარების" ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 18 აგვისტომდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პროფესიული განათლების" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 18 აგვისტომდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პროფესიული განათლების" ინგლისურენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 18 აგვისტომდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლებისმეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 18 აგვისტომდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლებისმეცნიერებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 18 აგვისტომდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

მეოთხე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის„ორგანიზაციის ტრანსფორმირებისა და კონსულტირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლოპროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება: ორგანიზაციის ტრანსფორმირება და კონსულტირება
საფეხური: მაგისტრატურა
სწავლების ენა:ქართული
მისანიჭებელიკვალიფიკაცია:სოციალური მეცნიერებების მაგისტრი
დეტალურისფეროსკოდი:0319 - სოციალური და ქცევითი მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული
სტატუსი:ახალი
კრედიტებისრაოდენობა:120

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადესქეთევან აფთარაშვილმა, ბონდო გასვიანმა, თეა მჭედლურმა და თამარ ზარანდიამ.
თვითაცილებისსაფუძველსწარმოადგენდაშრომითიურთიერთობადაწესებულებასთან.
ხოლო თამარ ზარანდიას შემთხვევაში - აკადემიური ურთიერთობები დაწესებულებასთან.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია

ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ, ლინა ჟენკიენემ პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამა შეიქმნა 2009 წელს და ხორციელდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. ვიზიტის მიმდინარეობისას შეხვედრა ჰქონდათ ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ზოგიერთ დამსაქმებელთან. ჩვენი მიგნებები და რეკომენდაციები ეფუძნება როგორც მოწოდებულ დოკუმენტაციას, ისე განხორციელებულ გასაუბრებებს. ხუთივე სტანდარტი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან. რეკომენდაციები და რჩევები ორიენტირებულია ამ ხარვეზების გამოსწორებაზე. მან დამსწრეებს წარუდგინა პროგრამისთვის განსაზღვრული დასკვნაში მოყვანილი რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ნინო ქიმერიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტებს კარგად აქვთ შემჩნეული პროგრამის პოზიტიური მხარეები და დარგობრივი ნაკლოვანებები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული საუკეთესო პრაქტიკები უკავშირდებოდა სამეცნიერო კვლევებში სტუდენტთა ჩართულობას, სტიპენდიების შეთავაზებას, საერთაშორისო კონფერენციებში ჩართულობასა და საკურსო სამუშაოებით სტუდენტების საველე პრაქტიკაში ჩართვას.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნოდარ ბელქანიამ „რეკომენდებულია პროგრამის მიზნების გაფართოება და/ან ხედვის მკაფიო განაცხადის ჩამატება, რომელიც ხაზს გაუსვამს მის პრაქტიკაზე ორიენტირებულ მიდგომას, ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობას და სტუდენტების შემდგომი აკადემიური სწავლისა და სამეცნიერო კვლევისთვის მომზადებისადმი ვალდებულებას“ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანი შექმნისთანავე იყო პრაქტიკაზე ორიენტაცია და უცხოელი სპეციალისტების ჩართვა, რათა სტუდენტებისთვის მიეღოთ პრაქტიკული სწავლება. პრაქტიკა სხვადასხვა კურსებში არის ინტეგრირებული. მაგალითად, ადამიანური რესურსების კურსში სტუდენტები პრაქტიკულ გამოცდილებას იძენენ რეალურ პროექტებში ჩართვით. ასევე, ხდება „პროექტის ციკლის მართვაში“, „ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგიაში“ და უცხოელი პერსონალის სხვა კურსებშიც. იყო შემთხვევები, როცა სტუდენტები წავიდნენ უცხოელ პრაქტიკოსებთან და იქ რეალურ სამუშაო გარემოსთან ჰქონდათ შეხება, თუმცა ეს ფინანსური და ენობრივი ბარიერის გამო იშვიათობაა. პროგრამის შექმნისას, 2008 წელს დეტალურად იქნა შესწავლილი შრომის ბაზარი და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე დაყრდნობით შეიქმნა პროგრამა. პროგრამის რებრენდინგთან ერთად, ხელახლა მოხდება ბაზრის შესწავლა, რომ შეფასდეს რამდენად ადეკვატურია პროგრამის ბაზრის მოთხოვნილებებთან შესაბამისობა.
მისი თქმით, პროგრამაზე ხდება სტუდენტების შემდგომი აკადემიური სწავლის და სამეცნიერო კვლევისთვის მომზადება. ბევრი კურსდამთავრებული სწავლას აგრძელებს სადოქტორო საფეხურზე. ფაკულტეტზე არსებობს „ორგანიზაციული და პერსონალური განვითარების“ სადოქტორო პროგრამა, სადაც აბარებენ კურსდამთავრებულები. გარდა ამისა,

ისინი აბარებენ მომიჯნავე პროგრამებზეც. პრაქტიკაზე ორიენტირების გარდა, პროგრამაზე ისწავლება კვლევის მეთოდებიც და სტუდენტები საკმაოდ მაღალ დონეზე ატარებენ სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში კვლევებს.
მისი თქმით, მნიშვნელოვანია პროგრამას წვლილი შეჰქონდეს საზოგადოების განვითარებაში, თუმცა ამისი გაზომვა რთულია. პროგრამის შექმნისას ტერმინი „ქოუჩინგი“ არ იყო ცნობილი საქართველოში, ხოლო დღესდღეობით არსებობს „ქოუჩინგის“ ორი სასწავლო კურსი და დღეს ეს მიმართულება ძალიან პოპულარულია საქართველოში. ამ მიმართულებით არსებულ ორგანიზაციებში მაღალ პოზიციებს იკავებენ პროგრამის კურსდამთავრებულები.
ინტერნაციონალიზაციის კუთხით აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია დარგის მოწინავე პერსონალი ავსტრიიდან, შვეიცარიიდან, გერმანიიდან და ნიდერლანდებიდან. მართალია, პროგრამაზე მცირერიცხოვანი პერსონალია, მაგრამ ეტაპობრივად შემადგენლობა იზრდება დოქტორანტებით. ამჟამად, ორი დოქტორანტი ელოდება დისერტაციის დაცვას და ამის შემდეგ ჩაერთვებიან პროგრამაში.
უცხოელი სპეციალისტების პროგრამით დაინტერესება გამოიხატება სწავლებაში და სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას უკუკავშირის გაცემაში. რამდენიმე შემთხვევაში მაგისტრანტის ხელმძღვანელი იყო უცხოელი. ეს ხშირად არ ხდება, რადგან არსებობს ენობრივი ბარიერი სტუდენტსა და უცხოელ ხელმძღვანელს შორის. ეს რეკომენდაცია გასათვალისწინებელია და მომავალში მოხდება ქართველი თუ უცხოელი დარგის სპეციალისტების თანახელმძღვანელებად ჩართვა.
ნოდარ ბელქანიამ აღნიშნა, რომ გაუგებარია რას ნიშნავს სტრატეგიის შემუშავებისა და ლიდერობის კომპეტენციების განვითარება. პროგრამა მიმართულია კონსულტანტის და არა ლიდერის გაზრდაზე. პროგრამის სტუდენტთა 99% უკვე დასაქმებულია და სურს ცოდნის გაღრმავება. ლიდერობის კომპეტენციების განვითარება პროგრამის პირდაპირი ამოცანა არ არის, თუმცა ისწავლება „ლიდერობის“ კურსი და ასევე, სხვადასხვა ასპექტებით მოცემულია რიგ კურსებში. რაც შეეხება სტრატეგიულ მენეჯმენტს, პროგრამის რებრენდინგის დროს ეკონომიკური მიდგომების ნაცვლად აქცენტი გაკეთდა სოციალური მეცნიერებების მიდგომაზე, რაც მოიცავს ფსიქოლოგიას და სოციოლოგიას. შესაბამისად, სტრატეგიული მენეჯმენტის დანერგვის საჭიროება და შესაძლებლობა არ არის, ხოლო ორგანიზაციის სტრატეგიისა და პოლიტიკის შესახებ სტუდენტები საკმაოდ ფართო ცოდნას იღებენ.
პრაქტიკის ცალკე არჩევით კურსად დანერგვა იქნებოდა რესურსების ფუჭად დაკარგვა, რადგან მაგისტრანტები ისედაც იღებენ მონაწილეობას პრაქტიკულ სამუშაოებში.
მართალია, რებრენდინგის შემდეგ პროგრამას ხელახლა მოუწევს დამსაქმებლებთან ურთიერთობა. ბაზრის კვლევის შემდეგ დამსაქმებლის მოთხოვნები შესაძლებლობების ფარგლებში გათვალისწინებული იქნება პროგრამაში.
უნივერსიტეტში ტარდება სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვები. გასულ სასწავლო წელს სტუდენტთა მიღების გაუთვალისწინებელმა რაოდენობამ გამოიწვია პრობლემები არჩევითი კურსების მიმართულებით, თუმცა მესამე სემესტრში სტუდენტებს დიდი არჩევანი აქვთ არჩევითი კურსების და ამის გარდა, მეორე სემესტრში დაემატება ახალი არჩევითი კურსი, რომელშიც იქნება ჩაშენებული საველე პრაქტიკა. მისი თქმით, მეორე სემესტრში ნამდვილად გასაზრდელია არჩევითი საგნების რაოდენობა და ის რეკომენდაციას იზიარებს. ასევე, „ინტერპერსონალური კომუნიკაციის“, „ინტერპერსონალური კომუნიკაციის პრაქტიკის“ და „ქოუჩინგის“ კურსები პასუხო ორგანიზაციაში ადამიანური ფაქტორის მნიშვნელობას. ეს კურსები უმნიშვნელოვანესია კონსულტანტის კომპეტენციების განვითარებისთვის. კონფლიქტების კურსებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კონფლიქტი არის ჯგუფის დინამიკის აუცილებელი ნაწილი და სხვადასხვა კურსებში კონფლიქტის თემის გადაფარვა არ ხდება, ის ისწავლება სხვადასხვა პერსპექტივებიდან. ბიოგრაფიკასთან დაკავშირებით აღნიშნა, კონსულტანტმა უნდა იცოდეს ბიოგრაფიკის კანონები და მისი დიაგნოსტირება. სტუდენტები სწავლობენ როგორ უნდა მიუდგნენ ადამიანს კრიზისში. შესაბამისად, ეს კურსი ძალიან მნიშვნელოვანია.

ორგანიზაციის ტრანსფორმაცია მოიცავს ინოვაციას. თანამედროვე ორგანიზაციებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სიახლეების მიღება, რაც ეხმარება პრობლემების გადაჭრასა და კრიზისების მართვას. ინოვაციური მიდგომების შემდეგ გაჩნდა ორგანიზაციის განვითარებისა და ტრანსფორმაციის მიდგომა, რომელიც მოიცავს ინოვაციასაც, სიახლეების მიმართ ღიაობას. ორგანიზაციის ცვლილებისას დგება მდგრადობის პრობლემა. განვითარება გულისხმობს ძველი კარგი პრაქტიკების შენარჩუნებას და ახალი კარგი პრაქტიკების დანერგვას, რაც არის სწორი, მდგრადი მიდგომა.
პროგრამის უცხოელმა აპლიკანტებმა უნდა იცოდნენ ქართული ენა და ეს რეკომენდაცია გასათვალისწინებელია.
პროგრამის უცხოელი პერსონალი, მაგალითად ფრიდრიხ გლაზლი, არის მსოფლიო დონის ექსპერტი, რომლებსაც მონაწილეობა აქვს მიღებული ირლანდიის, სამხრეთ აფრიკის, სამხრეთ ამერიკის, სომხეთის, საქართველოს და რუსეთის კონფლიქტებში. პროგრამის უცხოელი პერსონალი დგას თანამედროვე პრაქტიკისა და ცოდნის მწვერვალზე, უწევენ კონსულტაციას დიდ ორგანიზაციებს, ქმნიან ლიტერატურას. გასათვალისწინებელია, რომ მათი ლიტერატურა არსებობს გერმანულ ენაზე და ვერ ხერხდება ინგლისურ ენაზე მიწოდება. ინტენსიური კურსების ჩატარებამდე ისინი ქმნიან და უზიარებენ სტუდენტებს რესურსებს, „Hand Out"-ებს. ქართული ლიტერატურა არის შეზღუდული და ნამდვილად საჭიროებს შევსებას. რიდერების შექმნა მომავალში არის აუცილებელი.
ინტენსიური კურსების მონიტორინგი ხდება ვიდეო გადაღებით და მონიტორინგი ნამდვილად მიმდინარეობს, თუმცა ამ ასპექტის გაუმჯობესება შესაძლებელია.
ნოდარ ბელქანია დაეთანხმა რეკომენდაციას, რომ ლიტერატურა ხელმისაწვდომი უნდა იყოს უნივერსიტეტის ყველა ბიბლიოთეკაში. ეს საკითხი უნდა გამართონ სხვა სამსახურებმა.
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, მარეხ დევიძემ დაამატა, რომ თუ ბიბლიოთეკაში არ არის სავალდებულო ლიტერატურა, მაშინ ცნობა არ გაიცემა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ყველა ფილიალი ახალი სასწავლო წლიდან უზრუნველყოფილი იქნება პროგრამის ციფრული და ბეჭდური ლიტერატურით.
ინტენსიური კურსების მონიტორინგთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში დაინერგა „საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის კონტროლისა და შეფასების ცენტრი" და ახალი სასწავლო წლიდან უზრუნველყოფს როგორც სწავლის ხარისხის მონიტორინგს, ისე ფაკულტეტის წარმომადგენლებისა და პროგრამის ხელმძღვანელების მხარდაჭერას.
პროფესიული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით პერსონალის ინფორმირებაზე განმარტა, რომ მიმდინარე წლის მაისის და ივნისის თვეში პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა ტრენინგები თემაზე - „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სამეცნიერო კვლევაში" და „სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარება". სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელის შეფასება განხორციელდება შესაბამისი კითხვარით დაახლოებით იგივე პრინციპით, როგორითაც ხდებოდა სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება. 2025 წლამდე სტუდენტი ვალდებული არ იყო საუნივერსიტეტო ბაზაში შესვლამდე შეეფასებინა ლექტორები, თუმცა 2025 წლის გაზაფხულიდან ეს გახდა სავალდებულო და მოხდება ლექტორების შეფასება ინდივიდუალურად. ლექტორს შეუძლია პირად ბაზაში ნახოს თავისი შეფასებები. ნოდარ ბელქანიამ დაამატა, რომ უცხოელი პერსონალი აქტიურად იღებს მონაწილეობას პროგრამის განვითარებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

ციური დურულმა პროგრამის კვალიფიკაციისა და სახელწოდების შესახებ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, პროგრამა გადის თუ არა ეროვნული კლასიფიკატორის „სოციალური და ქცევითი მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული - 0319" დეტალურ სფეროში.

დაწესებულებამ დაადასტურა ეს ფაქტი.

ციური დურულმა ასევე იკითხა, თუ რატომ გადაწყდა პროგრამის ამ კვალიფიკაციაში მოქცევა, როცა პროგრამის სახელწოდება 0413 დეტალურ სფეროს უფრო შეესაბამება, ეს მიმართულებები სასწავლო კურსებეთაც არ არის წარმოდგენილი პროგრამაში. ამ გამოიწვია რომ სახელწოდება და პროგრამის შინაარსი თითქოს ერთმანეთთან შეუსაბამოა. საბჭოს წევრმა აქვე მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, გაჩნდა თუ არა იგივე კითხვა პროგრამის შეფასებისას. ქვე დაამატა კომენტარის სახით, რომ მისი ვარაუდით სტრატეგიული მენეჯმენტთან დაკავშირებით რეკომენდაციაც ამ მიზეზით გაიცა.

ნოდარ ბელქანია ნაწილობრივ დაეთანხმა კომენტარს და განმარტა, რომ ეს საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რადგან ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში ძალიან ახალი დარგი იყო და არ იყო მარტივი კლასიფიკატორში ზუსტი ადგილის პოვნა. თავიდან პროგრამა ფუნქციონირებდა სახელწოდებით "ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება" - რომელიც მისანიჭებელ კვალიფიკაციას შესესაბამებოდა. პარალელურად მიმდინარეობდა კონსულტაციები განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და ეკონომისტებთან. ასევე, პროგრამის განხორციელების პროცესში სტუდენტების მხრიდან წმინდად "ეკონიმიკური" მიმართულების საგნების არჩევა არ ხდებოდა, რის შემდეგაც გამოიკვეთა ამ მიმართულების საგნების გაუქმების საჭიორების გადაწყვეტილება. ასევე, სტუდენტების მოთხოვნების მიხედვით, მათ უმეტეს ნაწილს სურდა რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია ყოფილიყო მეტად ზოგადი "სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი".

მარეხ დევიძემ დაამატა, რომ პროგრამის მოქცევა განიხილებოდა მენეჯმენტისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სფეროს ქვეშ, მაგრამ თავისი შინაარსობრივი ხასიათით ინტერდისციპლინური პროგრამა ვერ იქნებოდა მხოლოდ ერთი სფეროს ნაწილი. საბოლოოდ, გადაწყდა მისი „0319" სფეროში მოთავსება და შესაბამისი კვალიფიკაციის ფორმულირება. სუფთა მენეჯმენტის სფერო კი პროგრამიდან ამოღებულ იქნა.

ლინა ჟენკიენემ აღნიშნა, რომ ინტერდისციპლინური პროგრამებისთვის ეროვნულ კლასიფიკატორში შესაბამისი ადგილის პოვნა ყოველთვის რთულია. ამ საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტის გადაწყვეტილება სრულად გასაგებია, თუმცა მეტის დამატება არ შეუძლია, რადგან არ იცნობს ეროვნულ კლასიფიკატორს. რჩევის სახით შეიძლება ითქვას, რომ საჭიროა პროგრამამ მოახდინოს ევროპულ ანალოგებთან შედარება. ექსპერტთა ჯგუფი არ მოიაზრებს ახალი კურსის დამატებას, არამედ სასწავლო თემების გაღრმავებას. ასევე, კვლევა, პრაქტიკა და ინტერნაციონალიზაცია პროგრამაში არსებობს, თუმცა მათი ცხადად ასახვა უნდა მოხდეს პროგრამის მიზნებში.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, მარი ბანძელაძემ აღნიშნა, რომ ამ კუთხით კითხვა თავიდანვე გაჩნდა, თუმცა არგუმენტირების შემდეგ, პროგრამის განმახორციელებლების პოზიცია გასაგები იყო.

ნოდარ ბელქანიას თქმით, მოიძიეს ბევრი ევროპული ანალოგი. იდენტური პროგრამები ევროპაში არის მოქცეული ეკონომიკის, ფსიქოლოგიის ან სოციალური მეცნიერებების სფეროში.

საბჭოს წევრი, მზია წიკლაური დაინტერესდა, უნივერსიტეტი იღებს თუ არა მონაწილეობას სტუდენტების დასაქმებაში. ასევე, რატომ არის შეუძლებელი მონოგრაფიების თარგმნა ქართულ ენაზე და კურსის შექმნის დაკვეთა დარგისა და ქართული ენის მცოდნე სპეციალისტისთვის.

ნოდარ ბელქანიამ უპასუხა, რომ არსებობს „რიდერები“ ახალი ლიტერატურიდან. ხარვეზის ერთ-ერთი მიზეზია ტერმინოლოგიის დაუზუსტებლობა, რადგან თარგმნა ითხოვს დარგისა და ქართული ენის ცოდნას. ლიტერატურის შექმნა და გამოქვეყნება არის დაკავშირებული ფინანსურ სახსრებთან, რაც ასევე იქცევა წინაღობად. სტუდენტები კი პროგრამაზე მოდიან უკვე დასაქმებულები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:20
დასრულების დრო: 16:46

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ორგანიზაციის ტრანსფორმირებისა და კონსულტირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლოპროგრამის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 3 წლის ვადით, 2028 წლის 18 აგვისტომდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის,მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6- ემუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ორგანიზაციის ტრანსფორმირებისა და კონსულტირების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 3 წლის ვადით, 2028 წლის 18 აგვისტომდე.

მეხუთე საკითხი:სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველისსახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავისსახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების“ ერთობლივ სადოქტოროსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

სხდომას შემოუერთდა ვაჟა კელიხაშვილი

საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:განათლების მეცნიერებები

საფეხური: დოქტორანტურა
სწავლების ენა:ქართული
მისანიჭებელიკვალიფიკაცია:განათლების მეცნიერების დოქტორი
აკადემიური ხარისხი: - ერთობლივი აკადემიური ხარისხი
დეტალურისფეროსკოდი:0111 განათლების მეცნიერება
სტატუსი:აკრედიტებული
კრედიტებისრაოდენობა:45

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება
√არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადესლევან შავაძემ, ქეთევან აფთარაშვილმა, ბონდო გასვიანმა, თეა მჭედლურმა, ნარგული ასანიძემ, ვლადიმერ ადეიშვილმა და თამარ ზარანდიამ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემსაბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენუმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, პეტროს პაშიარდისი არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას. მისი სიტყვა დამსწრეებს გააცნო თარჯიმანმა ანა ადამიამ:
„ექსპერტთა გუნდმა შეფასების საბოლოო ანგარიში მოამზადა განათლების მეცნიერებათა ერთობლივი სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, დამატებით მოთხოვნილი და მოწოდებული დოკუმენტების, და რასაკვირველია, ვიზიტებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან შეხვედრების საფუძველზე.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2025 წლის 2 ივლისს გამართული ვიზიტის ფარგლებში, პირისპირ ან დისტანციურ ფორმატში შევხვდით 103 პირს. მათ შორის, ადმინისტრაციის წევრებს (რექტორები, ვიცე-რექტორები, დეკანები, და ხელმძღვანელები, ყველა უნივერსიტეტიდან), ასევე პროგრამის მმართველი საბჭოს წარმომადგენლებს. ამას გარდა, შეხვედრები გავმართეთ თვითშეფასების გუნდთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ყველა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების წარმომადგენლებთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, და სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებთან. ასევე, მოვინახულეთ კამპუსი, კერძოდ, ლაბორატორია, აუდიტორიები, კომპიუტერული ოთახები და სხვა სივრცეები. 2025 წლის 3 ივლისს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში, შევხვდით

ადმინისტრაციის 5 წევრს, კერძოდ, რექტორს, ადმინისტრაციის უფროსს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანს, თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს და ბათუმის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს. დაბოლოს, დავათვალიერეთ ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, კომპიუტერული ოთახები და სხვა სივრცეები.
მთლიანობაში, პროგრამა პასუხობს დასახულ ხედვას და მისი განმახორციელებელი პერსონალი დიდი ენთუზიაზმით ეკიდება ამ ინიციატივას, რომელსაც ანალოგი არ ჰყავს საქართველოში და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ოთხი უნივერსიტეტის ასეთი სანიმუშო თანამშრომლობა მაღალი დონის სადოქტორო პროგრამის გარშემო მართლაც განსაკუთრებულია. ასეთი პროგრამის შექმნა და განხორციელება მოითხოვს ძლიერ ხედვას, ენერგიას, რესურსებს, სტრატეგიულ ხელმძღვანელობას, განჭვრეტასა და სიძლიერეს.
ჩვენ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები მიზნად ისახავს პროგრამის შემდგომ გაძლიერებასა და დახვეწას, მომდევნო აკრედიტაციამდე პერიოდისათვის. შესაბამისად, ისინი მიმართულია პროგრამისა და უნივერსიტეტების რეპუტაციის კიდევ უფრო გამყარებისა და გაძლიერებისაკენ და განსაკუთრებით, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაღრმავების ხელშეწყობისკენ.
ჩვენთვის მოწოდებული დოკუმენტაციის ანალიზის, გასაუბრებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის, და ასევე ვიზიტის საფუძველზე, მიგვაჩნია, რომ პირველი ორი სტანდარტის ნაწილში, კერძოდ:
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან.
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.
პროგრამა შესაძლებელია კიდევ უფრო დაიხვეწოს და გაუმჯობესდეს, ხოლო დანარჩენი სამი სტანდარტის მიმართულებით, კერძოდ: სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა, სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა და სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.
პროგრამა სრულად აკმაყოფილებს აკრედიტაციის მოთხოვნებს. საერთო ჯამში, გუნდის შეფასებით, მოცემული ერთობლივი სადოქტორო პროგრამა არის გამართული და ძლიერი.
და, ბოლოს, მსურს ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ექსპერტთა გუნდის წევრ კოლეგებს, რომლებმაც დაუღალავად იშრომეს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ ანგარიშის შემუშავებაში. აქვე, მსურს გულითადი მადლიერება გამოვხატო განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ორი წევრის, კერძოდ, ქალბატონი ქრისტინე აბულაძისა და ქალბატონი სოფიო ქურასბედიანის მისამართით, რომლებმაც მეტად ღირებული დახმარება გაგვიწიეს მთელი პროცესის განმავლობაში.“ - წერს საერთაშორისო ექსპერტი

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ პროგრამა წარმოადგენს ოთხი უნივერსიტეტის ერთობლივ პროდუქტს და ქართულ ბაზარზე ანალოგი ფაქტობრივად არ ჰყავს. პროგრამას აქვს მოწოდება მდგრადობისკენ და კარგი სივრცეა სტუდენტებისთვის, რომ მათ ნახონ როგორ მოქმედებს აკადემიური კულტურა მსგავს პროგრამებში. ოთხი ინსტიტუციის მიერ განხორციელებული პროგრამის მართვა რთულია და, რა თქმა უნდა, არსებობს გამოწვევები. პროგრამას ჰყავს წარმატებული დოქტორანტები და კურსდამთავრებულები. ინტერნაციონალიზაციის კუთხით გამართულ ყველა აქტივობაში მონაწილეობას იღებენ აკადემიური პერსონალი და დოქტორანტები. ცოტა ხნის წინ ჩატარდა ორი ტრენინგი ხელმძღვანელობის შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა თითქმის ყველა პერსონალმა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ქეთევან ჭკუასელმა აღნიშნა, რომ თავიდან მოსალოდნელი იყო ინსტიტუციური თანამშრომლობისას სირთულეები. მიზანი იყო დემოკრატიული თანამშრომლობითი კულტურის დანერგვა და ამ პროგრამამ ფორმალური ინსტიტიციური თანამშრომლობისა და ერთობლივი საგანმანათლებლო სივრცის მაგალითი შექმნა. შეიქმნა დოქტორანტების ერთიანი სივრცე, რომლებიც პროფესიული კოლეგები არიან. პირველი ოთხი წლის განმავლობაში უამრავი პრობლემა წარმოიშვა, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი ეს მოგვარდა. ბოლო წელიწად-ნახევარი ინსტიტუციური თანამშრომლობა მარტივად მიმდინარეობს.

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელმა ზაქარია ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდებულია მეორე სასწავლო შედეგის გადახედვა, რათა ის შეესაბამებოდეს მოქმედი სასწავლო გეგმის ზოგად პედაგოგიურ ფოკუსს. რეკომენდაციასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია მისაღები იქნება როგორც რჩევა, რადგან არანაირი აცდენა „კერძო დიდაქტიკის“ სწავლის შედეგსა და მოცემულ კურსებს შორის არ არის. ნებისმიერი კერძო დიდაქტიკის კურსი თავისი სწავლის შედეგებით, განსაკუთრებით კი სადოქტორო საფეხურზე, აუცილებლად გულისხმობს აღზრდის თეორიას, ზოგად დიდაქტიკას და ამ პროცესების დიაქრონულ ჭრილში განხილვის საჭიროებას. კერძო დიდაქტიკა ვერ იდგება განზე აღზრდის თეორიისგან, განათლების ისტორიისგან და ზოგადი დიდაქტიკისგან. შესაბამისად, სასწავლო გეგმის რუკაზე მეორე სწავლის შედეგთან აღნიშნული კურსების დაკავშირება ცხადი და ლოგიკურია. კერძო დიდაქტიკის კომპონენტის სწავლის შედეგებში ასახვის საკითხი გასათვალისწინებელია რჩევად მასწავლებელთა განათლების პროფილით წარმოდგენილი კვლევითი ნაშრომის კონტექსტში, განმარტებითი აღნიშვნით სქოლიოს საშუალებით.
ასევე, კვლევის მეთოდოლოგიის კურსებში სასწავლო მასალების განახლებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს მისაღებია როგორც რჩევა და არა როგორც რეკომენდაცია, რადგან 2011-12 წლებში გამოცემულ სახელმძღვანელოებში მოყვანილი კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები, დიზაინი და ინსტრუმენტები არსებითად არ შეცვლილა შემდგომ სახელმძღვანელოებში და განიცადა მხოლოდ მცირე ცვლილება. სილაბუსში მოყვანილი ლიტერატურა არ ავლენს ნაკლოვანებას სწავლის შედეგების მიღწევის კუთხით და რეკომენდაცია არ შეიძლება გულისხმობდეს მხოლოდ ლიტერატურის თარიღების განახლებას.

პროგრამის მმართველი საბჭოს წევრმა, ლელა თურმანიძემ კურიკულუმის რუკასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დოქტორანტები სწავლის საფეხურის სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელმძღვანელთან ერთად გეგმავენ სასწავლო გეგმას სასწავლო საჭიროებების მიხედვით. კურსის წინაპირობები კი უგულვებელყოფილი ნამდვილად არ არის. ინგლისურენოვან კომპონენტებთან დაკავშირებით დაამატა, რომ უნივეერსიტეტს აქვს პრაქტიკა, რომ დოქტორანტის სურვილის შემთხვევაში დაუგეგმოს არჩევითი კურსი რომელიმე ევროპულ უნივერსიტეტში.
დოქტორანტთა მიღებისას შეფასების კრიტერიუმების სიცხადესთან დაკავშირებით განმარტა, რომ ვებ-გვერდზე დოქტორანტისთვის ხელმისაწვდომია წარსადგენი საკითხები და მათი შეფასების კრიტერიუმები. ასევე, მონაწილე უნივერსიტეტების ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია დისერტაციის სავარაუდო ხელმძღვანელების პროფილები, რომელიც უნდა გაანალიზოს დოქტორანტმა და თავისი სამეცნიერო ინტერესის მიხედვით აირჩიოს ხელმძღვანელი.

პროგრამის მმართველი საბჭოს წერვმა, ნინო მოდებაძემ ისაუბრა შემდეგ რეკომენდაციაზე - „რეკომენდებულია დოქტორანტის სემინარისთვის სტრუქტურირებული სასწავლო გეგმის ჩარჩოს შექმნა მკაფიოდ განსაზღვრული მასალებითა და სწავლის პროცესის განვითარებით, რაც არ შემოიფარგლება ამჟამინდელი დამოკიდებულებით „ნებისმიერ თემასთან დაკავშირებულ წიგნებზე, სტატიებსა და კონფერენციის მასალებზე“. მისი თქმით, სილაბუსზე იმუშავეს თელავისა და ბათუმის უნივერსიტეტებმა ერთობლივად. სემინარი არის სასწავლო

კომპონენტი და არ უკავშირდება სადისერტაციო ნაშრომს. სემინარის თემატიკას ირჩევს სტუდენტი, სადისერტაციო თემატიკისგან დამოუკიდებლად და, შესაბამისად, სემინარის სილაბუსში მოცემულია ზოგადი ლიტერატურა. შესაბამისად, მიზანშეწონილი არ არის დოქტორანტისთვის სტრუქტურირებული სასწავლო გეგმის ჩარჩოს შექმნა.

პროგრამის მმართველი საბჭოს წევრმა, ლელა თავდგირიძემ დაამატა, რომ კურსის სილაბუსში, სასწავლო კურსის მიზნის განსაზღვრის შემდეგ არის გაკეთებული ჩანაწერი, რომ საკითხების ჩამონათვალი ზოგადია და ერთგვარად ფორმალურ ხასიათს ატარებს, რომელიც დოქტორანტის კონკრეტული სამეცნიერო ინტერესის ფარგლებიდან გამომდინარეობს. დოქტორანტმა ლიტერატურა თავად უნდა მოიძიოს და მოემზადოს სადისერტაციო ნაშრომისთვის: მოიძიოს და დაამუშავოს ლიტერატურა, ჩაატაროს მცირე კვლევა და ა.შ.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ქეთევან ჭკუასელმა „პედაგოგიკის თეორიის“ კურსებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ფორმალური მოთხოვნილების გათვალისწინებით გადაიხედება მიზნები და სწავლის შედეგები კვლევის მეთოდებსა და პედაგოგიკის თეორიის კურსებში.
კვლევის პრაქტიკული კურსის შესახებ აღნიშნა, რომ ეს კურსი დოქტორანტებს ეხმარება კვლევის დაგეგმვისთვის საჭირო კომპეტენციების გამომუშავებაში. ყოველი დოქტორანტი მუშაობს თავისთვის საინტერესო თემაზე და ამგვარად, კონკრეტული საკითხების გაწერა სილაბუსში არ ხდება, არამედ შეიძლება დაემატოს ზოგადი საკითხები. მეექვსე და მეთოთხმეტე რეკომენდაცია კი ერთმანეთს ემთხვევა. „რეკომენდებულია, ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის მოთხოვნის ყველა დოქტორანტისთვის დაწესება, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ინგლისურენოვანი კომპონენტების სათანადო გაგება და შენარჩუნდეს თანმიმდევრულობა კურსის სპეციფიკურ ენობრივ მოთხოვნებთან“ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არსებული ჩანაწერი თანხვედრაშია დოქტორანტურის ახალ სტანდარტთან.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ეკატერინე ფიფია დაეთანხმა, რომ ჩანაწერი თანხვედრაშია დოქტორანტურის სტანდარტთან, თუმცა პროგრამა ხორციელდება ინგლისური კომპონენტით და ჩნდება ეჭვი, მოახერხებს თუ არა B1 ინგლისური ენის კომპეტენციის მქონე დოქტორანტი ამ კომპონენტის ათვისებას. მნიშვნელოვანია პროგრამის აღწერილობით ნაწილში კარგად განიმარტოს ინგლისური კომპონენტის მნიშვნელობა.

ქეთევან ჭკუასელმა განმარტა, რომ ჩანაწერის გაკეთება არ იქნება ხელსაყრელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ სასურველია, პროგრამის გადახედვა, რათა საკონტაქტო საათების ჯამური რაოდენობა სასწავლო გეგმის ცხრილებსა და ინდივიდუალური კურსის სილაბუსებს შორის თანხვედრაში მოვიდეს. განსაკუთრებით კი გამოსწორდეს შეუსაბამობები ისეთ კურსებში, როგორიცაა რაოდენობრივი კვლევა. აქვე, რჩევასთან დაკავშირებით დასვა კითხვა, რამ გამოიწვია ამ რჩევის გაცემა და რამდენად უშლის ხელს ეს საკითხი პროგრამის მდგრადობას.

ექსპერტთა ჯგუფის წევრის ეკატერინე ფიფიას თქმით, საუბარი მხოლოდ ტექნიკურ უზუსტობებზეა.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა დასვა შეკითხვა „კვლევისა და პროექტების მართვის“ პრაქტიკულ კურსთან დაკავშირებით. მას აინტერესებს, როგორ უნდა წარიმართოს ეს კურსი სხვადასხვა დაწესებულებაში, როცა სილაბუსში განმახორციელებლად მითითებულია მხოლოდ თსუ-ს პერსონალი - რუსუდან სანაძე.

რუსუდან სანაძემ უპასუხა, რომ კურსის ძირითადი განმახორციელებელი არის თავად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოიზიდავს სხვა კოლეგებს.

ასევე, ციური დურულმა ექსპერტებს მიმართა კითხვით. მას აინტერესებდა, რას გულისხმობდნენ ექსპერტები სტრუქტურირებული სასწავლო გეგმის შესახებ რეკომენდაციაში.

ეკატერინე ფიფიამ უპასუხა, რომ იზიარებს დაწესებულების პოზიციას აღნიშნულ სილაბუსთან დაკავშირებით.
ასევე, ციური დურულმა იკითხა, საკმარისია თუ არა B1 ინგლისური ენის კომპეტენცია მაშინ, როცა ზოგიერთ სასწავლო კურსში არ არის მოცემული მაგალითად ფრანგულენოვანი ლიტერატურა და არის მხოლოდ ინგლისურენოვანი.

ქეთევან ჭკუასელი დაეთანხმა შენიშვნას და დაამატა, რომ B1 კომპეტენციის მქონე აპლიკანტს შეუძლია თანამედროვე ციფრული მთარგმნელობითი პროგრამების გამოყენება და სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა ხსენებული დაშვება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:46
დასრულების დრო: 18:41

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველისსახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავისსახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების“ ერთობლივი სადოქტოროსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით, 2032 წლის 18 აგვისტომდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველისსახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების“ ერთობლივ სადოქტოროსაგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 2032 წლის 18 აგვისტომდე 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 18 აგვისტოს 18:40 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
წევრი
ელიზბარაშვილი ელიზბარ

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
დურული ციური

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
მზამავსამეღლა
ელექტრონული